ონის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ78.782212511**

თარიღი:**05/05/2022**

ონის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ და ,,ე.ვ“ ქვეპუნქტების და ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, ,,ონის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 სექტემბერის N39 დადგენილებისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. შეიქმნას ონის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების მიზნით სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- **სერგო ხიდეშელი**- მუნიციპალიტეტის მერი, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
- **გიორგი ნოდარიშვილი** - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- **ლევან შერაზადიშვილი**-მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- **მანანა ჩაგელიშვილი-**მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- **თამარ ლობჯანიძე -**მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- **ლამარა გამყრელიძე**- მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის მდივანი;
- **ბაჩანა მარკოიშვილი-** მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- **ალავერდ ხვედელიანი** - ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი;

- **შუქურა ჯაფარიძე**-ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- **სონია გუგეშაშვილი** - ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯოდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- **გია მეტრეველი-**ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- **გივი ბერიშვილი**- ა(ა)იპ,,ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის“ წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- **მალხაზ ჯაფარიძე-** ა(ა)იპ ,,ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის" დირექტორი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

2. წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,, ონის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შეახებ“ ონის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 18 მარტის N478 ბრძანება;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სერგო ხიდეშელი

ონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი